Community-led Urban Strategies in Historic Towns (COMUS)

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში (COMUS)

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

წინასწარი ტექნიკური შეფასება

დუშეთი, საქართველო 2016

1. შესავალი

1.1. ქვეყანა ან ტერიტორია: საქართველო
1.2. ორგანიზაციის სახელი, რომელიც აგროვებს ინფორმაციას: დუშეთის მუნიციპალიტეტი
1.3. საკონტაქტო სახელი: კონსტანტინე ნაცვლიშვილი
1.4. ელ.ფოსტის მისამართი: k.nat.art@gmail.com
1.5. შენობის ან სანახაობის სახელი და მისამართი: დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ქეთევან წამებულის ქუჩა, მილახვრიანთკარის დასახლება,ქ. დუშეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, საქართველო.

1.6. საინვენტარიზაციო ნომერი: კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რეესტრის N 6933, 08.01.2014, {http://dataherita.ge/uploads/files/uZravi%20Zeglebis%20reestri%20www%2029-09-16.pdf}
1.7. შენობის/მონუმენტის/სანახაობის ტიპი; ისტორიულ-არქიტექტურული
1.8. მთავარი თარიღები: XIX საუკუნე, 60-70 იანი წლები
1.9. ამჟამინდელი გამოყენება: მუზეუმი

2. შეჯამება: ობიექტი და მისი მართვა

ობიექტი მდებარეობს ქალაქ დუშეთში, მილახვრიანთკარის დასახლებაში, ქალაქ თბილისიდან 54 კმ.-ის დაშორებით. იგი წარმოადგენს საქართველოს სამხედრო გზაზე XIX-XX საუკუნეში არსებული ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტის - საფოსტო სადგურების ე.წ. სტანციების ერთ-ერთ დღემდე შემორჩენილ ნიმუშს. პროექტის ავტორია საქართველოში მოღვაწე შვედი არქიტექტორი ოტო იაკობ სიმონსონი, რომელმაც შექმნა საქართველოს სამხედრო გზისათვის საფოსტო სადგურების ტიპიური პროექტი. ამ პროექტის მიხედვით 8 სადგური, მათ შორის დუშეთის საფოსტო სადგურიც აშენდა.

საქართველოს სამხედრო გზამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამხედრო გზა წარმოადგენდა რუსეთის იმპერიისთვის კოლონიალური პოლიტიკის გატარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, იგი ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა ერთადერთ გზად, რომლის მეშვეობითაც საქართველომ შეძლო ქრისტიანულ სამყაროსთან კულტურული კავშირების აღდგენა/დამყარება. აღნიშნული გზის მეშვეობით რუსეთმა შეცვალა არა მხოლოდ საქართველოს ან კავკასიის, არამედ წინა აზიის გეოპოლიტიკა იმ სახით, როგორსაც დღეს ვიცნობთ. ამდენად, საქართველოს სამხედრო გზა საერთაშორისო კულტურული ფასეულობის მატარებელია.

ამ გზის ახალი და ძველი მარშრუტები დუშეთზე და მის შორიახლოს გადიოდა და გადის. განსაკუთრებით დიდია დუშეთისთის ძველი მარშრუტის მნიშნელობა, რომელმაც განაპირობა დუშეთის ქალაქად ფორმირება და მისი სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

დღეისათვის, საფოსტო სადგურის კომპლექსიდან მხოლოდ საკუთრივ სადგურის შენობაა შემორჩენილი. 1950-იანი წლების დასაწყისში მოხდა შენობის ადაპტაცია და აქ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განთავსდა.
დღეისათვის შენომა უკიდურესად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია: წყლის ჩადინების შედეგად დაბზარული და გარღვეულია მზიდი კედლები, სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია გადახურვისა და წყლის გადაყვანის პრობლემა. შენომის მიმდებარე ეზო, ბუჩქნარითაა დაფარული, თუმცა ჯერ კიდევ შემორჩენილია კვიპაროსების ხეივანი და მცირე აუზი.

შენობის რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავების პროცესში ადგილობრივი სამუშაო ჯგუფის მიერ ასევე გათვალისწინებულ იქნა ობიექტის ახლომდებარე, ჭილაშვილების სასახლეში ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ბაზის და მისი სამომავლო სარეაბილიტაციო გეგმების საკითხი. აღნიშნული გეგმის მიხედვით, შესაძლებელია ამ დროისათვის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში განთავსებული არტეფაქტები სწორედ ჭილაშვილების სასახლეში იქნას გადატანილი. დღეისათვის არ არსებობს კონკრეტული გეგმა ამ ორი სამუზეუმო სივრცის შესაძლო შერწყმისა და მისი სამომავლო მართვის, არც სტანციის სამომავლო ბედის შესახებ.

ამ კონტექსტის და სტანციის გამორჩეული ისტორიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ადგილობრივი სამუშაო ჯგუფმა ჩამოაყალიბა შეთავაზება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) შენობის მაღალი ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურული მნიშვნელობა ბ) საზოგადოებრივი დატვირთვა გ) საჯარო ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხი.

შესაბამისად, მიჩნეულ იქნა, რომ სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სტანციის შენობის მუნიციპალურ საკუთრებაში შენარჩუნება და მასში საზოგადოებრივი ფუნქციის შენარჩუნება-განვრცობა. შენობის გამოყენების ალტერნატიული სცენარების

დამუშავებისას საუკეთესო ვერსიად მიჩნეულ იქნა არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოდიფიკაცია საქართველოს სამხედრო გზის მუზეუმად.

შენობა და მისი მიმდებარე ეზო საშუალებას იძლება აქ განთავსდეს მუდმივი და დროებითი საექსპოზიციო სივრცეები, მუზეუმის კაფე და მაღაზია.

გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი თემატიკის მუზეუმი საქართველოში და რეგიონში არ არსებობს, დიდია მუზეუმის წარმატებული საქმიანობის მოლოდინი საქართველოს სამუზეუმო სივრცეში და ზოგადად რეგიონის/მსოფლიო სამუზეუმო ლანდშაფტში, რაც მომავალში ლოკომოტივად გამოდგება ქალაქის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისვთის. სტანციის მუზეუმი შეავსებს დუშეთის კულტურული ინფრასტრუქტურის ნაკლლოვანებებსა და საჭიროებებს, ხოლო დროებითი საგამოფენო სივრცე, რომელიც მოეწყობა მუზუემის შენობაში უმასპინძლებს სხვადასხვა თემატურ გამოფენებს საქართველოს სოციალური და კულტურული ურთიერთობების შესახებ მეზობელ ხალხებთან, ასევე ფოტო ხელოვნების გამოფენებს, მუზეუმის პროფილთან ახლოს მდგომ თემებს მსოფლიოს სხვადასვხა ქვეყნებიდან და მუზეუმებიდან. ასევე შესაძლებელია მუზეუმმა საკუთარი თანამშრომლობა ჩამოაყალიბოს, როგორც National Geografik-ის ქართულ, ასევე ცენტრალურ რედაქციასთან და მოაწყოს მათი საარქივო და აქტუალური ფოტო გამოფენები.

საქართველოს სამხედრო გზის მუზეუმის განვითარება ხელს შეუწყობს დუშეთში კულტურის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შენარჩუნება/მოზიდვას და ადამიანური რესურსების შემდგომ დამაგრებას ქალაქში.

მუზეუმი შესანიშნავად ჩაეწერება დუშეთის კულტურულ ლანდშაფტში, სადაც იარსებებს არქეოლოგური მუზეუმი ჭილაშვილების ისტორიულ სასახლეში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თავისი საგამოფენო სივრცით ემ-ტე-ესის შენობაში, ასევე ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებულ ახალგაზრდულ ცენტრსა და თეატრის მულტიფუნქციურ შენობასთან ერთად დააკმაყოფილებს როგორც დუშელების, ასევე ასევე ქალაქის სტუმრების მოთხოვნებს კულტურულ შეთავაზებაზე, მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას ქალაქში. ემ-ტე-ესის, ჭილაშვილების სასახლის მუზეუმისა და სტანციის მუზეუმის ერთმანეთის მეზობლად ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ყველა ამ ორგანიზაციისთვის პუბლიკის მოზიდვის ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას.

მრავალფეროვანი გამოფენები, რეგიონული თუ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დუშეთის, როგორც კულტურული ქალაქის იმიჯს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და ხელს შეუწყობს ქალაქის კონკურენტურნარიანობის ზრდას ტურისტულ ბაზარზე, რაც დადებითად აისახება დუშეთის ეკონომიკაზე და საცხოვრებელი გარემოს ხარისხზე.

3.ადმინისტრაციული ინფორმაცია

3.1. პასუხისმგებელი ორგანოები

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იმყოფება დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და მასზე ზრუნვა თვითმმართველობის პირდაპირი პასუხსიმგებლობაა. როგორც, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე, მის მოვლა-პატრონობაზე ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ობვიექტზე ნებისმიერი ტიპის ინტერვენცია შეთანხმებული უნდა იქნეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან.

3.2. შენობა/ტერიტორია, სახელი და მისამართი

დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი,

მილახვრიანთკარის დასახლება, ქ. დუშეთი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, მცხეთა-მთიანეთის მხარე, საქართველო

3.3. კარტოგრაფიული ინფორმაცია

X: 42 08 6668
Y: 44 68 1335

3.4. ძეგლის ტიპი

ისტორიული, არქიტექტურული

3.5. საკუთრება

დუშეთის მუნიციპალიტეტი

3.6. სავალდებულო დაცვა/შეზღუდვები

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შესაბამისად მას გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის ფიზიკური დაცვის არანაკლებ 50 მეტრიანი და ვიზუალური დაცვის 150 მეტრიანი ავტომატურად განსაზღვრული არეალი, რომელთა რეჟიმები განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონით. შენობაზე ჩარევის ნებართვას გასცემს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

4. ფიზიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა

1.1. ფიზიკური მდგომარეობის შეფასება - ძალიან ცუდიდან კარგისკენ;

(ნანგრევი, ძალიან ცუდი, ცუდი, საშუალო, კარგი, ძალიან კარგი)

ცუდი

1.2. რისკის შეფასება - A-H

(მაღალი რისკი - A, საშუალო - B, დაბალი - C, რისკის გარეშე -D)

A

1.3. პრიორიტეტი ინტერვენციისთვის (მაღალი/საშუალო/დაბალი)

მაღალი

5. არსებული ინფორმაცია

5.1. დოკუმენტური რესურსები

შენობის ისტორიული ფოტოები დაცულია როგორც დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ასევე საქართველოს ეროვნულ არქივში, სადაც ასევე ინახება შენობის საავტორო პროექტი და მისი ესკიზები. შენობის სააღრიცხვო ბარათი და შესაბამისი ფოტომასალა დაცულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივში.

5.2. ბიბლიოგრაფია

საქართველოს სამხედრო გზა და მისი ყოფილი ინფრასტრუქტურა საქართველოში არ არის სათანადოდ გამოკვლეული. დუშეთის ისტორიის, არქიტექტურული და ურბანული მემკვიდრეობის შესახებ ერთადერთ სრულყოფილ საუკეთესო ნაშრომს წარმოადგენს არქიტექტურის ისტორიკოსის, მაია მანიას ნაშრომი „ დუშეთი, ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა“, თბილისი 2016 წელი. წიგნში არის საინტერესო ინფორმაცია თავად სტანციის შენობის შესახებ, ასევე განხილულია ზოგადად საქართველოს სამხედრო გზის ისტორია და ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მისი, დუშეთის მონაკვეთი, ასევე ინფორმაცია არქიტექტორზე და შენობის გვიანი გადაკეთებების შესახებ.

ობიექტის შესახებ ინფორმაცია ასევე მოცემულია შემდეგ წყაროებში:

- Мгалоблишвили Н., Шилакадзе Т., Махарашвили Т., (1983), По дороге дружбы, Тбилиси

5.3. უკვე ჩატარებული საველე სამუშაო

შენობის ისტორიულ-არქიტექტურული შეფასება 2011 წელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ განხორციელებული საინვენტარიზაციო

სამუშაოების და ასევე ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი რეგიონული პროექტის „კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია ისტორიული ქალაქებში“ (PP2) ფარგლებში.
შენობის კონსტრუქციული მდგრადობის პირველადი საველე შეფასება განხორციელებულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინჟინერ-კონსტრუქტორის მიერ მიმდინარე კვლევის ფარგლებში 2016 წელს.

5.4. მიმდინარე პროექტები

შენობაზე ამ ეტაპზე სამუშაოები არ მიმდინარეობს.

5.5. უკვე დაგეგმილი პროექტები

შენობის რეაბილიტაციის საკითხი შეტანილია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მართული რეგიონული განვითარების მესამე პროგრამის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში 2017-2019 წლებში გათვალისწინებულია დუშეთის ისტორიული ცენტრისა და მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ობიექტების, მათ შორის აღნიშნული შენობის რებილიტაცია, თუმცა კონკრეტული სამუშაოები დაწყებული არ არის.

5.6. უკვე შესრულებული ფინანსური ხარჯთაღრიცხვა

ამ ეტაპზე შენობის რეაბილიტაციის ხარჯთაღრიცხვა არ არის მომზადებული.

6. PTA-ს ფარგლები

6.1. შეფასების მოცულობა/შინაარსი

აღნიშნულ ბარათზე მუშაობდა ადგილობრივ და ეროვნულ ექსპერტთა კომპლექსური ჯგუფი, არქიტექტორების, ინჟინრის, კულტურის პოლიტიკის სპეციალისტის შემადგენლობით.

6.2. კვლევის შეზღუდვა

საქართველოს სამხედრო გზის და მისი ინფრასტრუქტურის საინჟინრო-ტექნიკური, ასევე კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა მცირედაა შესწავლილი. მწირია ანალიტიკური ინფორმაცია ამ პერიოდის საზოგადოებრივ თუ საინჟინრო ობიექტებზე. დროის სიმცირისა და შეზღუდული რესურსების გამო ვერ განხორციელდა შენობის დეტალური საინჟინრო შეფასება და საძირკვლის გეოლოგიური კვლევა.

7. PTA

7.1. კონტექსტი: ფორმა, ფუნქცია და ევოლუცია

7.1.1. შემაჯამებელი აღწერა:

შენობა წარმოადგენს საქართველოს სამხედრო გზაზე არსებული ინფრასტრუქტურის ე.წ. სტანციების (მგზავრთა მოსასვენებელი, ფოსტის მიღებისა და გადაზიდვის, საზოგადოებრივი კვების, სამგზავრი ეკიპაჟებისა და ცხენების დაქირავების, ასევე მათი კვების ფუნქცია) საერთო რიცხვით 14 სტანციიდან ერთ-ერთ დღემდე შემორჩენილ ნიმუშს. პროექტის ავტორია შვედი არქიტექტორი ოტო იაკობ სიმონსონი, რომელმაც 1850-იანი წლების მიწურულს საქართველოს სამხედრო გზისთვის თითქმის ყველა სტანციის პროექტი შექმნა, მათ შორის 8 სტანციისთვის ტიპიური პროექტი, რომელთაგან ერთ-ერთ შემორჩენილ, თუმცა სახეცვლილ ნიმუშს წარმოადგენს დუშეთის სტანცია. დეტალური სახელოვნებათმცოდნეო კვლევისა და თავდაპირველი პროექტის ანალიზის საშუალებით შესაძლებელია გვიანდელი ინტერვენციების იდენტიფიცირება.
შენობას ასიმეტრიული გეგმარება და შიდა სივრცითი მოწყობა ახასიათებს. თავდაპირველად ის ნაწილობრივ ორსართულიან, ნაწილობრივ კი - ერთ სართულიან შენობას წარმოადგენდა. შენობის ერთსართულიანი ნაწილი ორი მხრიდან გახსნილი იყო სვეტებით შემკული გადახურული ტერასებით. მე-20 საუკუნის 50 იან წლებში, შენობის მუზეუმად ადაპტაციის დროს ერთსართულიან ნაწილზე დაშენებულ იქნა მეორე სართული, გაქრა ორსართულიანი ნაწილის სამკუთხა ფრონტონი. თავდაპირველი ჩანაფიქრიდან შენობამ ერკერი და პორტიკები შეინარჩუნა.
მისი აგების პერიოდში სტანციის მიმდებარე ტერიტორია უმეტესად დაუსახლებელი იყო. ერთ-ერთს ახლომდებარე მცირერიცხოვანი შენობებიდან ჭილაშვილების სასახლის კომპლექსი წარმოადგენდა.
სტანციის დამხმარე ნაგებობები დღეისათვის დანგრეულია და შენობა სამოსახლო განაშენიანებით არის გარშემორტყმული. თუმცა ბაღის სახით შენობას გარშემო ნაწილობრივ შენარჩუნებულია თავისუფალი სივრცე.
დღეს არსებული თუჯის ღობე საბჭოთა პერიოდშია დამონტაჟებული, მისი ქვედა ნაწილი კი, რომელიც ქვის თლილი ბლოკებისგანაა ნაგები, სავარაუდოდ შენობის ავთენტური ელემენტია.

7.1.2. შენობის ან ტერიტორიის ისტორიული განვითარება და შეფასება

საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პერიოდიდან 1800-იანი წლებიდან იწყება. განსაკუთრებით ინტენსიური სამუშაოები წარმოებდა მე-19 ს აუკუნის მეორე ნახევრიდან შენდება ახალი მონაკვეთები, ახალი სადგურები. 1859 წლამდე საქართველოს სამხედრო გზა ქალაქ დუშეთს უშუალოდ კვეთდა, თუმცა დუშეთის მთებში 22 ვერსის სიგრძეზე გაყვანილი გზისა და 1861 წლის ზემო მლეთის აღმართის გზის დასრულების შედეგად სამხედრო გზა ე.წ. კანჭის ქედზე გადავიდა , დუშეთიდან ერთი ვერსის დაშორებით. მიუხედავად ამისა დუშეთმა შეინარჩუნა მისი, როგორც სატრანზიტო ქალაქის მნიშვნელობა და ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად იმის, რომ დუშეთის სტანციის შენობა ტიპიურ პროექტს წარმოადგენს (ამ პროექტით აშენდა სამხედრო გზის 8 სადგური), იგი დუშეთისთვის განვითარების ამსახველი ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლია. მითუფრო, რომ მასში განთავსებულია დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული დუშეთის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საარქივო თუ სამეცნიერო მასალების შეგროვებისა და დაცვის საქმეში.

7.2. მნიშვნელობა

საქართველოს სამხედრო გზამ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სამხედრო გზა წარმოადგენდა რუსეთის იმპერიისთვის კოლონიალური პოლიტიკის გატარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, იგი ათწლეულების განმავლობაში რჩებოდა ერთადერთ გზად, რომლის მეშვეობითაც საქართველომ შეძლო ქრისტიანულ სამყაროსთან კულტურული კავშირების აღდგენა/დამყარება. აღნიშნული გზის მეშვეობით რუსეთმა შეცვალა არა მხოლოდ საქართველოს ან კავკასიის, არამედ წინა აზიის გეოპოლიტიკა იმ სახით, როგორსაც დღეს ვიცნობთ. ამდენად, საქართველოს სამხედრო გზა საერთაშორისო კულტურული ფასეულობის მატარებელია.

ამ გზის ახალი და ძველი მარშრუტები დუშეთზე და მის შორიახლოს გადიოდა და გადის. განსაკუთრებით დიდია დუშეთისთის ძველი მარშრუტის მნიშნელობა, რომელმაც განაპირობა დუშეთის ქალაქად ფორმირება და მისი სწრაფი ეკონომიკური განვითარება.

სწორედ ზემოთ მოყვანილ კონტექსტში იკვეთება მოცემული ობიექტის ისტორიულ-კულტურული მნიშნელობა ლოკალურ, ეროვნულ და საერთაშორისო ჭრილში.

7.3. მოწყვლადობა/ რისკის შეფასება

1990-იანი წლებიდან ფინანსების ნაკლებობამ და მოუვლელობამ შენობა მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა. მუზეუმებისადმი საზოგადოების დაბალმა ინტერესმა გამოიწვია მუზეუმის განვითარების შეჩერებაც. მიუხედავად იმისა, რომ შენობის ძირითადი ნაწილი, მძიმე ფიზიკური მდგომარეობის გამო, აღარ გამოიყენება, დღეს მუზეუმი მაინც განაგრძობს არსებობას და ფონდების დაცვას.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაყოვნებამ მძიმე რისკის ქვეშ აყენებს როგორც შენობაში მომუშავე პერსონალს, ასევე აქ განთავსებულ ფონდებს. ამ რისკების შესამცირებლად გადაუდებლად ჩასატარებელია კომპლექსური საინჟინრო კვლევა და შესაბამისი სარეაბილიტაციო პროექტის მომზადება. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს კანალიზაციისა და ეზოს სანიაღვრე-წყალსაწრეტი სისტემის მდგომარეობის შეფასება.

კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს იდეა, რომელიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეროვნული მუზეუმის სივრცეში ინტეგრაციას ისახავს მიზნად. შენობის გამოთავისუფლების შემთხვევაში, ქართული კანონმდებობით არსებული ბარიერი სამუზეუმო შენობის გასხვისების აკრძალვაზე ქრება და შენობის გასხვისებას შესაძლებელს ხდის. კერძო საკუთრების შემთხვევაში იზრდება რისკი, ერთის მხრივ შენობის შესაბამის რეაბილიტაციისა და, მეორეს მხრივ, საზოგადოების წვდომის შეზღუდვის, რაც მნიშნელოვანი დანაკლისი იქნება დუშეთს კულტურული და საზოგადოებრივი სივრცისთვის.

7.4. ტექნიკური მდგომარეობა

შენობის ტექნიკური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, რაც გამოწვეულია კომპლექსური ფაქტორებით:

- კედლებში გამჭოლი ბზარები;
- კუთხეების რღვევით;
- გრძივი შიდა კედლის მიერ ჩრდილო-დასავლეთის კედლის გატარანებით;

შენობის კედლების გახსნა, განსაკუთრებით კუთხეებში, გამოწვეულია გარეთა კედლების ინტენსიური ჯდენით შიდა კედლებთან შედარებით. რაც საჭიროებს საძირკვლების გეოლოგიურ შესწავლას.

სტრუქტურული დაზიანებების გამომწვევი შეიძლება იყოს:

- ატმოსფერული ნალექების ზემოქმედება;
- შენობის გარშემო წყალარინების სისტემის არარსებობა;
- წვიმის და თოვლის ნალექი, რომელიც თავს იყრიდა შენობის კუთხეებში და ჩაჰყვებოდა კედლის წიბოებს, რის შედეგადაც მოხდა წყობის განშრევება და კუთხეების რღვევა.
- მნიშვნელოვან მიზეზად შეიძლება განვიხილოთ შენობის ხანრგძლივი მოუვლელობა.

7.5. მოთხოვნილი შეკეთების შეჯამება

სტანციის შენობის რეაბილიტაციის პროექტის მომზადებამდე აუცილებელია შენობის მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა. რეაბილიტაციის პროექტი უნდა მომზადდეს სამუზეუმო კონცეფციის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სამუზეუმო სივრცისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. მუზეუმის სპეციფიკისგან დამოუკიდებლად სტანციის შენობის შენარჩუნებისთვის საჭიროა:

- საძირკვლების გამაგრება-გაძლიერება მთელ გარეთა კონტურზე და შეიძლება ზოგიერთი შიდა კედლისთვისაც;
- ბზარების დაარმატურება და დაზიანებული ზედაპირების არმატურის ბადეებით დაფარვა და ტორკრეტშელესვა;
- აგურის წყობების ნაწილობრივი ამოყვანა;
- კარნიზების გასწორება და მოწესრიგება;
- რკინაბეტონის სარტყელის მოწყობა ორ დონეზე;
- სახურავის კონსტრუქციის და ბურულის გამოცვლა;

- იატაკის აყრა და გადახურის კოჭების მდგომარეობის რევიზია;
- იატაკის განახლება;
- ჭერის შელესვა;
- შიდა და გარე კიბეების ნაწილობრივი გადაწყობა;
- აივნები;
- კარ-ფანჯრების განახლება;
- ღობის მოწესრიგება;
- ეზოს მოწესრიგება და განახლება.

7.6. კონსერვაცია/რეაბილიტაციის პოლიტიკა და შეთავაზება

7.6.1. სანახაობის ხედვის ფართო-მასშტაბიანი დასკვნა, მისი მდგრადობა.

იმისათვის რომ მაქსიმალურად ეფექტურად იყოს გამოყენებული არსებული მემკვიდრეობის რესურსი, მიზანშეწონილია შენობაში არსებული მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კონცეფციის მოდიფიკაცია მისი საქართველოს სამხედრო გზის მუზეუმად ადაპტაციის მიზნით. მუზეუმის ძირითადი ფუნქცია იქნება წარმოაჩინოს საქართველოს სამხედრო გზის ისტორია და მისი კულტურული მნიშვნელობა, დუშეთის როლის პრეზენტირებით საქართველოს გზის კონტექსტში.
მუზეუმის შენობაში მუდმივი საექსპოზიციო სივრცის გარდა უნდა განთავსდეს დროებითი საგამოფენო სივრცე, მუზეუმის კაფე და მაღაზია. მუზეუმის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მისი ვრცელი ეზოს და ბაღის კეთილმოწყობა-დაგეგმარება საზოგადოებრივი ფუნქციებისათვის.

მიზანშეწონილია შენობა დარჩეს საზოგადოებრივ საკუთრებაში. მისი მართვა შესაძლებელია როგორც უშუალოდ მუნიციპალური მუზეიმის მიერ, ასევე იმ სპეციალური მუნიციპალური ფონდის მიერ რომელსაც საკუთრებაში გადაეცემა შენობა სხვა მუნიციპალურ კულტურულ ობიექტებთან ერთად. ასეთ შემთხვევაში მუზეუმის მმართველი სტრუქტურა ანგარიშვალდებული იქნება, როგორც მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წინაშე, ასევე ფონდის მენეჯმენტის წინაშე.

მუზეუმმა უნდა უზრუნველყოს, როგორც ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილება სამუზეუმო სფეროში, ასევე დუშეთის ხილვადობა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, უნდა იქცეს ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად ქალაქისთვის.

7.6.2. კონსერვაციის ფილოსოფია

შენობის რეგილიტაცია უნდა მოხდეს შენობისთვის ფუნქციის შენარჩუნებით. მუზეუმი ახალი კონცეფციის (საქართველოს სამხედრო გზის მუზეუმი) შედეგად დაუახლოვდება შენობის თავდაპირველ ფუნქციას, შესაბამისად შენობის რეაბილიტაციისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავთენტური ელემენტების შენარჩუნებას, როგორც ინტერიერში, ასევე ექსტერიერში. მრავალფეროვანი საარქივო მასალიდან

გამომდინარე დიდ სირთულეს არ წარმოადგენს მუზეუმის ეზოში ისეთი ხის მცირე არქიტექტურული ფორმების აღდგენა, რაც შექმნის სტანციის სპეციფიურ განწყობას ვიზიტორებში.
მიუხედავად იმისა, რომ შენობას წლებია მუზეუმის ფუნქცია გააჩნია, შენობის სივრცითი მოწყობა და ტექნიკური პარამეტრები არ შეესაბამება თანამედროვე საექსპოზიციო მოთხოვნებს, შესაბამისად რეაბილიტაციის პროექტში გასათვალისწინებელია თანამედროვე სამუზეუმო სფეროს მოთხოვნები. სტანცია, რომელიც ტიპიური პროექტით სახით აშენდა 1850-იანი წლების ბოლოს, მე-20 საუკუნის შუა ხანებში გადაკეთდა სამუზეუმო სივრცედ (დაემატა ერთი სართული, შეიცვალა ფასადი და ინტერიერი, ღობე). აღნიშნული ცვლილება დღეს უკვე ძეგლის განუყოფელ ნაწილად განიხილება. რეაბილიტაციის შედეგად უნდა მივიღოთ შენობა, სადაც მშენებლობის თითოეული ეტაპი ინტეგრირებული იქნება ერთ საერთო კონცეფციაში, თუმცა ავთენტური, გვიანდელი და თანამედროვე სამშენებლო ფენები მარტივად აღქმადი უნდა იყოს, როგორც ინტერიერში, ასევე ექსტერიერში.

7.6.3. ინტერვენციის დონე

მუზეუმის კონცეფციიდან გამომდინარე შენობის მოითხოვს ინტერვენციის მაღალ დონეს მის ინტერიერში. ფასადზე, სასურველია მაქსიმალურად აღქმადი იყოს ავთენტური არქიტექტურული დეტალები. ეზოს კეთილმოწყობა და საზოგადოებრივი ფუნქციებით დატვირთვა, შენობის რეაბილიტაციის განუყოფელი ნაწილია.

7.6.4. შესაძლო გამოყენების წინასწარი შეთავაზებები

მუზეუმის თანამშრომლების მხრიდან გამოითქვა სურვილი მუზეუმის თემატიკის გაფართოებისა და მისთვის განვითარების ახალი კონცეფციის მომზადების. კონცეფიცა უნდა ასახავდეს საქართველოს სახმედრო გზის ისტორიასა და კულტურულ მნიშვნელობას და დუშეთის როლზე ამ გზის კონტექსტში. მსგავსი თემატიკის მუზეუმი საქართველოში არ არსებობს და შესაბამისად დიდი ალბათობა არსებობს მუზეუმის წარმატების საქართელოს სამუზეუმო სივრცეში და ზოგადად მსოფლიო სამუზეუმო ლანდშაფტში, რაც მომავალში ლოკომოტივად გამოდგება ქალაქის კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარებისთის. აღნიშნული პროფილის მუზეუმი შეავსებს დუშეთის კულტურული ინფრასტრუქტურის ნაკლლოვანებებსა და საჭიროებებს, ამასთან დუშეთს დაუმკვიდრებს ადგილს, როგორც საქართველოსა და რეგიონის კულტურულ რუკაზე, ასევე ზოგადად მსოფლიოში, მართალია ვიწრო პროფილით, თუმცა საერთაშორისო მნიშვნელობის გზის კულტურული, სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის კვლევითა და პრეზენტირებით.
დროებითი საგამოფენო სივრცე, რომელიც მოეწყობა მუზუემის შენობაში უმასპინძლებს სხვადასხვა თემატურ გამოფენებს საქართველოს სოციალური და კულტურული ურთიერთობების შესახებ მეზობელ ხალხებთან, ასევე ფოტო ხელოვნების გამოფენებს, მუზეუმის პროფილთან ახლოს მდგომ თემებს მსოფლიოს სხვადასვხა ქვეყნებიდან და მუზეუმებიდან, ასევე შესაძლებელია მუზეუმმა საკუთარი თანამშრომლობა ჩამოაყალიბოს, როგორც National Geografik-ის ქართულ, ასევე ცენტრალურ რედაქციასთან და მოაწყოს მათი საარქივო და აქტუალური ფოტო გამოფენები.

აღნიშნული მუზეუმი შესანიშნავად ჩაეწერება დუშეთის კულტურულ სივრცეში, სადაც იარსებებს არქეოლოგური მუზეუმი ჭილაშვილების ისტორიულ სასახლეში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თავისი საგამოფენო სივრცით ემ-ტე-ესის შენობაში, ასევე ბიბლიოთეკის შენობაში განთავსებულ ახალგაზრდულ ცენტრსა და თეატრის მულტიფუნქციურ შენობასთან ერთად დააკმაყოფილებს როგორც დუშელების, ასევე ასევე ქალაქის სტუმრების მოთხოვნებს კულტურულ შეთავაზებაზე. ემ-ტე-ესის, ჭილაშვილების სასახლის მუზეუმისა და სტანციის მუზეუმის ერთმანეთის მეზობლად ფუნქციონირება ხელს შეუწყობს ყველა ამ ორგანიზაციისთვის პუბლიკის მოზიდვას, რაც დადებითად აისახება დუშეთის ეკონომიკაზე, მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და ქალაქის იმიჯის ფორმირებაზე.

7.6.5. სოციალური გამოყენების და მდგრადი განვითარების შესაძლებლობები.

სტანციის მუზეუმის განვითარების შედეგად დუშეთში შენარჩუნდება და დამატებით შეიქმნება სტაბილური სამუშაო ადგილები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთის, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული პირების შემდგომ დამაგრებას ქალაქში. ამ პროფილის მუზეუმის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაზრდის ვიზიტორების რაოდენობას ქალაქში, რაც დადებითად აისახება ქალაქის ეკონომიკაზე. კულტურულ-საგანმანათლებლო შეთავაზებები ადგილობრივი მოსახლეობისთვის უზურნვეყოფს საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუჯობესებას, რაც დადებითად აისახება მოსახლეობის კმაყოფილებაზე და შეაჩერებს ქალაქის მოსახლეობის მიგრაციას. მრავალფეროვანი გამოფენები და თანამშრომლობა მსგავსი ტიპის უცხოურ მუზეუმებსა და National Geografik-ის რედაქციასთან მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს დუშეთის როგორც მნიშვნელოვანი კულტურული ქალაქის იმიჯს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და ხელს შეუწყობს ქალაქის კონკურენტურნარიანობის ზრდას სხვა ქალაქებთან მიმართებაში.

7.6.6. კონსოლიდაციის, შეკეთების, კონსერვაციის, აღდგენის, რეაბილიტაციის ზოგადი შეფასება

იქედან გამომდინარე, რომ სტანციის შენობამ უნდა შეინარჩუნოს მისი მეორადი ფუნქცია (სამუზეუმო), თუმცა ახალი მუზეუმის კონცეფციის თანახმად უახლოვდება მის პირველად ფუნქციას (საქართველოს სამხედრო გზის სტანცია) შენობა ადაპტირებული უნდა იქნეს თანამედროვე სამუზეუმო სტანდართების გათვალისწინებით. შესაბამისად პროექტირებისას არსებობს რამოდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელიც დაცული უნდა იქნეს:
ისტორიულ-მხატვრული ფორმის შენარჩუნება და სხვადასხვა პერიოდის საამშენებლო ფენების ერთმანეთისგან ვიზუალური გამიჯვნა (განსაკუთრებით ინტერიერში), ამოსავალ წერტილად უნდა იქცეს ავთენტური ელემენტების შენარჩუნება.
შენობის ტექნიკური მონაცემების მიახლოება თანამედროვე სამუზეუმო სივრცისთის საჭირო სტანდარტებთან, რაც გულისმხმობს პროექტირებისას საამშენებლო მასალების სწორ შერჩევას და შემოდგომში შენობის უზრუნველყოფას სპეციფიური მატერიალურ-

ტექნიკური ბაზით, ასევე ინტერიერში სივრცის ოპტიმალურ დაგეგმვას სრულფასოვანი სამუზეუმო საქმიანობისვის.
მუზეუმის მომავალი გაფართოებისთვის დამატებითი საგამოფენო პავილიონის ადგილის გათალისწინება ეზოს დაგეგმვისას.
ეზოს გამწვანების განახლება, ასევე მცირე არქიტექტურული დეტალების აღდგენა ძველი ფოტოების მიხედვით, რაც დამახასიათებელი იყო სტანციისთვის მისი პირველადი ფუნქციიდან გამომდინარე.
შენობისა და ეზოს ადაპტირება სოციალურ მოთხოვნებთან, მათ შორის პანდუსების მოწყობა და მხედველობის არმქონე პირების ინტერესების გათვალისწინება.

7.6.7 საჯარო ხელმისაწვდომობა

სტანციისთვის სამუზეუმო ფუნქციის შენარჩუნების გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა თვითმმართელობის მიერ მოქალაქეების მოთხოვნით უზრუნველყოფს შენობისთის საზოგადოებრივი ფუნქციის შენარჩუნებას. მუზეუმი „სტანცია“ თვითმმართველობის მხრიდან განიხილება, როგორც საჯარო სიკეთე, რომლის ღირსეული ფუნქციონირება დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და უზრუნველყოფილი იქნება საჯარო ხელმისაწვდომობა შემდეგი ნაბიჯებიდან გამომდინარე:

- სამუზეუმო და საგანმანათლებლო შეთავაზებებზე ხელმისაწვდომი ფასების დაგეგმვა, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის წვდომას აღნიშნულ პროდუქტზე.
- კურატორებისთვის საკუთარი იდეების რეალიზების მიზნით სამუზეუმო სივრცეზე წვდომის უზრუნველყოფა, რაც იქნება სტანციის მომავალი მენეჯმენტის წინაშე ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მუნიციპალიტეტის მხრიდან.
- შენობისთვის სამუზეუმო ფუნქციის გარანტირებული შენარჩუნება, რაც გამოიხატება დუშეთის მუნიციპალური ფონდის დაარსებაში, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში მუნიციპალიტეტის მთავრობის მხრიდან ჩაურევლობას და მუზეუმის ქონების მუნიციპალური ქონებიდან გამიჯვნას, შემდგომში მისი წინასწარ განსარღვრულ ჩარჩოებში განკარგვის მიზნით.
- დუშეთის მუნიციპალური ფონდის მმართველობის დემოკრატიული პრინციპის შერჩევა, რაც უზრუნველყოფს სამუზეუმო საქმიანობაში პოლიტიკურ ჩაურევლობას, თვითგამოხატვის თავისუფლებასა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას.
- უნარშეზღუდული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

7.6.8. სხვა სარგებელი

სტანციის შენობის, როგორც მუზეუმის რეაბილიტაცია და ახლი კონცეფციის რეალიზება გამოიწვევს ადგილობრივ მოსახლეობაში საკუთარ ქალაქთან მიმართებაში მოქალაქეობის შეგრძნების განმტკიცებას, ახალგაზრდების მოტივაციის ზრდას და ეკონომიკური აქტივობების განვითარებას.

7.7. დაფინანსება

7.7.1. ბიუჯეტის საჭიროების და ფაზების ფართო შეფასება

პროექტის ბიუჯეტის განსაზღვრისთვის საჭიროა ხუთი ძირითადი ფაზის გათვალისწინება.
წინასაპროექტო ხარჯები, როგორიცაა გეოლოგიური კვლევა, საინჟინრო-ტექნიკური კვლევა, შენობის ავთენტური ნაწილების კვლევა და შესანარჩუნებელი ელემენტების იდენტიფიცირება.
საარქივო მასალების შესწავლა და აღსადგენი მცირე არქიტექტურული ელემენტების იდენტიფიცირება და ესკიზების მომზადება, ასევე შენობის ფასადის ცვლილებების კვლევა საარქივო მასალებზე დაყრდნობით.
მუზეუმის კონცეფციის შემუშავება ახალი ფუნქციის შესაბამისად, საჭიროებების იდენტიფიცირება, როგორც ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა, ასევე შენობის სივრცითი დაგეგმვის აუცილებლობის იდენტიფიცირება და ყოველივე ამის გათალისწინებით პროექტირებისთვის აუცილებელი ტექნიკური დავალების მომზადება.
პროექტის მომზადებისა და პროექტის რეალიზების ხარჯები.

სამუშაოს დასახელება	**მიახლოებითი ღირებულება ლარებში**
წინასაპროექტო კვლევებისა და პროექტირების ხარჯები (კულტურული მემკვიდრეობის კანონის შესაბამისად მოთხოვნილი სამუშაოების მიხედვით) შენობის და ტერიტორიისთვის	95 000 ₾
სამუზეუმო კონცეფციისა და საექსპოზიციო გეგმის, შესაბამისი ინტერიერის პროექტის მომზადება	60 000 ₾
შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	500 000 ₾
მუზეუმის მოწყობა	500 000₾
ტერიტორიის კეთილმოწყობა და დამატებითი სათავსების მოწყობა	300 000 ₾
ჯამი	1 440 000 ₾

7.7.2. ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობების შეფასება

პროექტის დაფინანსება გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე მესამე რეგონული განვითარების პროგრამის ფარგლებში.

7.7.3. შემოსავლების შესაძლებლობის შეფასება

მუზეუმის ფუნქციონირებით შესაძლებელი იქნება შემდეგი შემოსავლების გენერირება: ბილეთები, წიგნები და სასაჩუქრე პაკეტები, ღონისძიებები, ტურები საქართველოს სამხედრო გზის ძველ მონაკვეთზე, სხვა. შემოსავლების მიღების შესაძლებლობები

დეტალურად იქნება განხილული ტექნიკურ-ერკონომიკური კვლევის ფარგლებში, ხოლო არაპირდაპირი სარგებელი განხილულია წინამდებარე დოკუმენტის 6 თავში.

7.7.4 ხომ არ გიცდიათ ამ სანახაობისთვის ან მონუმენტისთვის ფინანსების მოძიება?

შენობის რეაბილიტაცია შესულია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე მესამე რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში.

7.7.5 ხომ არ მიგიღიათ ამ მონუმენტზე ან სანახაობაზე დაფინანსება?

შენობის რეაბილიტაცია შესულია მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე მესამე რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში.

7.8. მენეჯმენტი

7.8.1 პროექტის მოკლევადიანი მენეჯმენტი

შენობის რეაბილიტაციის პროექტის მენეჯმენტი განხორციელდება დუშეთის მუნიციპალიტეტის მიერ, მუზეუმის ხელმძღვანელობასთან კოორდინაციით.

7.8.2 პროექტის გრძელვადიანი მენეჯმენტი

ინსტიტუციური მოწყობა

მუზეუმის მართვა განხორციელდება სპეციალურად მისთვის შემუშავებული მართვის დემოკრატიული მოდელის შესაბამისად. შენობის საკუთრებასა და მენეჯმენტზე ფუნქციები იქნება გამიჯნული და თავისუფალი მუნიციპალიტეტის თუ ცენტრალური მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ზეგავლენისგან. შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტი აფუძნებს „დუშეთის მუნიციპალურ ფონდს“.

საკუთრება

დუშეთის მუნიციპალური ფონდი - იქნება ქონების მესაკუთრე სხვა კულტურული თუ საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებთან ერთად (ემ-ტე-ესი, ახალგაზრდული ცენტრი, გეოფიზიკური ლაბორატორიის ტურისტული ცენტრი). ქონების განკარგვა მოხდება ფონდის წესდების შესაბამისად, რაც მას აუკრძალავს ქონების გასხვისებას. ფონდის წესდების შესაბამისად მისი გაუქმების უფლება ექნება მხოლოდ მუნიციპალიტეტს ცენტრალური ხელისუფლების თანხმობისა და დუშეთის მოსახლეობის მხრიდან თანხმობის საფუძველზე (თანხმობისთის აუცილებელი იქნება ადგილობრივ დონეზე რეფერენდუმის ჩატარება), თუმცა ფონდის გაუქმება ქართული კანონდმებლობის შესაბამისად სამუზეუმო ქონების გასხვისების შესაძლებლობას არ უშვებს.

ფონდის ფუნქციები და ვალდებულებები

ფონდის ვალდებულება იქნება მუზეუმის ბიუჯეტის შეთანხმება მუნიციპალიტეტთან და ხარჯვითი ნაწილის კონტროლი. მუზეუმის წლიური ანგარიშების საჯაროობის

უზრუნველყოფა. მუზეუმის შენობის პერიოდული რემონტი და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მუზუემის ხელმძღვანელობის მოთხოვნის საფუძველზე.

მუზეუმის დაფინანსება
სტანციის მუზეუმის, როგორც დუშეთისთვის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციის ექსპლუატაციის ხარჯები დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და დუშეთის მუნიციპალური ფონდის შემოსავლებიდან. მუზეუმი, იმის გამო, რომ თავის თავზე იღებს ფუნქციებს, რომელიც ზოგადეროვნული მნიშვნელობა გააჩნია, შესაბამისად კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო თავის თავზე აიღებს სტანციის მუზეუმის დროებითი გამოფენების დაფინანსებას პროექტების ფარგლებში.

მუზეუმის მართვა
სტანციის მუზეუმის მართვა განხორციელდება ქართული კანონდმებობის, მუზუემის წესდებისა და დუშეთის მუნიციპალური ფონდის წესდებისა და მოთხოვნების შესაბამისად. მუზეუმის ორგანიზაციულ მართვას განახროციელებს დირექტორი, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით კონკურსის საფუძველზე. კონკურსს აცხადებს მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახური, წინასწარ შემუშავებული საკონკურსო პირობების შესაბამისად, რომლის შეთანხმებაც მოხდება დუშეთის მუნიციპალურ ფონდთან, დუშეთის ეკონომიკისა და ტურიზმის მუნიციპალურ სამსახურებთან და მუზეუმის მხარდამჭერ ჯგუფთან (მუზეუმის მეგობრები, მსხვილი დონორები).

მუზეუმის ფუნქციონირების საჯაროობა
მუზეუმი წლის ბოლოს დუშეთის მუნიციპალურ ფონდს აწვდის წლიურ ანგარიშს (ფინანსური ანგარიში, განხორციელებული პროექტების აღწერა, პუბლიკის ანალიზი, პრესის ანალიზი), რომელსაც ფონდი ინტეგრირებას უკეთებს თავის საკუთარ წლიურ ანგარიშში და წინასწარ განსაზღვრულ ვადებში აქვეყნებს მას (ბეჭდა ან საიტზე განთავსება).

მუზუემის ფუნქციონირება მოხდება სიტყვის თავისუფლების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების შესაბამისად, დუშეთის ქალაქის ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის პოლიტიკასა და ქართულ კანონმდებლობასთან თანხვედრაში მუზეუმის მენეჯმენტის ჯგუფის შეხედულებებისამებრ.

8. დოკუმენტაცია

---

1. შენობის საარქივო პროექტის ასლი, საქართველოს ეროვნული არქივი, მანია.მ. (2016) „დუშეთი: ურბანული და არქიტექტურული მემკვიდრეობა“, თბილისი
2. შენობის სააღრიცხვო ბარათი, 2011, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქივი
3. პირველადი ანაზომები (ფასადები, ჭრილები, გეგმები დაზიანებების მითითებით), 2016, ლ. ქეთელაური, გ. სინჟარაძე
4. ფოტოდოკუმენტაცია 2016, ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე

დანართი 1: სქემატური ანაზომები



1. ფასადი ა-ე, სქემატური ანაზომი, ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016



2. პირველი სართულის გეგმა, სქემატური ანაზომი, ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016



2. ფასადები 1-3 და 3-1, სქემატური ანაზომი, ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016



3. ფასადი ე-ა, სქემატური ანაზომი, ლ. ქეთელაური, გ. სინჯარაძე, 2016



დანართი 2: არსებული მდგომარეობა



დანართი 3: საარქივო მასალა



1. სახლემწიფო არქივში დაცული სტანციის თავდაპირველი პროექტი,ო. სიმონსონი(მოწოდებულია მ. მანიას მიერ).

2. სტანცია, საარქივო ფოტო, (მოწოდებული შადი ჰადადის მიერ).

3. ძველი სამხედრო გზა დუშეთთან, საარქივო ფოტო (წიგნიდან Мгалоблишвили Н., Шилакадзе Т., Махарашвили Т., (1983), По дороге дружбы, Тбилиси)